საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №141/ნ

2024 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 110504011, 04/05/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016102) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **ბრძანების 2^3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^4 პუნქტი:**

„2^4. დამტკიცდეს სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტი დანართი №6-ის შესაბამისად.“;

2. **ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (დანართი №1) 17^2 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^3 მუხლი:**

„მუხლი 17^3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თავისებურებანი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები.“;

3. **ბრძანების 2^4 პუნქტით დამტკიცებული „სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტი“ (დანართი №6) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.**

მუხლი 2

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა არაუგვიანეს 2025 წლის 1 იანვრისა უზრუნველყონ მოქმედი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩოდოკუმენტით დადგენილი მოთხოვნები გავრცელდეს ამ ბრძანების გამოქვეყნების თარიღიდან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებზე.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი